# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 3 (4542) ● 8 თებერვალი ● 2017 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●


## თბილისის 72-ე საჯარო სკოლა მოწინავეა

# ჩვენ ასე ვაშენებთ მერმისს



**ამ საჯარო სკოლას რამდენიმე წელია გამოცდილი, შემოქმედი დირექტორი უძღვება. ასევე აქ ძლიერი პედაგოგები მოღვაწეობენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სკოლა მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული, არა თუ ორიენტირებულია, არამედ, სწავლების ხარისხის ამაღლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის კუთხით, უკვე თვალსაჩინო შედეგებია მიღწეული. სკოლა მრავალეროვანია და მოსწავლეები მეგობრობა-ტოლერანტობის ატმოსფეროში იზრდებიან.**

**სკოლის დირექტორი მანანა კიკაჩეიშვილი საგანმანათლებლო სივრცეში საინტერესო ბიოგრაფიის მქონე ნიჭიერი, ბავშვებზე და პედაგოგის პროფესიაზე შეყვარებული პედაგოგია. ახლო წარსულიდან ერთი გულსატკენი ფაქტი უნდა გავიხსენო: შაშკინის რეჟიმისა და მანდატურების ზეობის ხანაში მანანა კიკაჩეიშვილს, რომელიც მაშინაც სხვა სკოლის დირექტორი იყო და მშვენივრად უძღვებოდა თავის საქმეს, უსამართლოდ მოექცნენ. აბსურდული ბრალდებით გაათავისუფლეს, სულიერი და მორალური ტრავმა მიაყენეს. მაგრამ სამართალმა მალე პური ჭამა, ნიჭმა იზეიმა.**



**მანანამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა დირექტორების კონკურსში და თავის საყვარელ საქმიანობას დაუბრუნდა, დაუბრუნდა და სკოლას დაატყო კიდევაც მზრუნველი ხელი. სკოლაში დაისადგურა სითბომ, სიყვარულმა და ღიმილმა.**

**თუმცა, სჯობს ამის შესახებ თავად მანანა კიკაჩეიშვილთან საუბრიდან შევიტყოთ. გთავაზობთ მასთან საუბრის მოკლე შინაარსს.**

***

**ჩვენთან** ათასხუთასამდე მოსწავლის სწავლა-აღზრდის საქმეს ძლიერი პედაგოგები ემსახურებიან. შეზღუდული უნარების ბავშვებთან გატაცებით მუშაობენ სპეციალური პედაგოგები: **მარინე იაშალაშვილი** და **მარინე ბლიაძე**. სკოლაში ფუნქციონირებს აუტისტური სპექტრის აშლილობის ინტეგრირებული კლასი, სადაც ირიცხება 9 მოსწავლე. მათ ემსახურება 4 კვალიფიციური სპეციალისტი და ფსიქოლოგი. სკოლაში მოღვაწე 96 პედაგოგიდან პრაქტიკოსია – 54, ხოლო უფროსი – 42, ერთი დოქტორი, მათემატიკის მასწავლებელი – **ანა ფურცელაძე**, ერთი ათასლარიანია – ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი – **ქეთევან ქათამაძე**.

დირექტორს მხარში უდგანან გამოცდილი მოადგილეები – **ნანა აბრამიშვილი** და **კარინე მანკულოვა**. სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარეობს – **მაია ფარულავა**. დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარეა – **ფატმან მუსელიანი**, სამეურნეო ნაწილს განაგებს – **ანა მჭედლიშვილი**. ბუღალტერია – **ბელა ბეგლარაშვილი**, საინფორმაციო მენეჯერია – **თინათინ ქუთათელაძე**, ხოლო საქმისმწარმოებელია – **ელმირა ლომჯარია**. სკოლას ჰყავს 5 ფასილიტატორი: **ირმა სამხარაძე, ნატო ხაჭაპურიძე, ქეთევან ქათამაძე, ირმა კაკუშაძე, ნატა ქუშაშვილი**. ფასილიტატორთა ფასილიტატორი კი გახლავთ – **ირმა კაკუშაძე**.

სკოლაში გაიხსნა კეთილმოწყობილი ექიმის კაბინეტი.

ფუნქციონირებს **ჭადრაკის, ინგლისურის** და **ფეხბურთის** წრეები, ასევე, ხალხური სიმღერის წრე – **„შვიდკაცა“**.

უსაფრთხოებაზე ზრუნავენ პროფესიონალი მანდატურები: **სოფო ჭიტაძე, ოლიკო ლორთქიფანიძე, ნანა ციბახაშვილი, შოთა ჩუთლაშვილი**.

ბიბლიოთეკარების **ფირანგიზ გაჯიევასა** და **ელისო გუგულაშვილის** მუხლჩაუხრელი შრომა იმის საწინდარია, რომ მოსწავლეები უფრო წიგნიერები იქნებიან.

გავიმარჯვეთ რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარდგენილი პროექტი **„კრწანისელები არაგველების ნაკვალევზე“** დაფინანსდა 3811,75 ლარით. პროექტის მიზანი იყო სკოლის ქართველ და არაქართველ მოსწავლეებში საქართველოს მთის ტრადიციებისა და კულტურის პოპულარიზაცია. დუშეთის მუნიციპალიტეტის გუდამაყრის და თბილისის 72-ე საჯარო სკოლების მოსწავლეები დამეგობრდნენ. ბავშვებმა უკეთ გაიცნეს **გოდერძი ჩოხელის** შემოქმედება. ერთობლივი ძალებით მოვაწყეთ კონფერენცია და შეიქმნა Facebook გვერდი. ლაშქრობა-ექსკურსიები მოეწყო გუდამაყარსა და ჩოხში. ჩატარდა **გოდერძი ჩოხელის** შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო, გაიხსნა გალერეა. მოწვეული იყვნენ სტუმრები გუდამაყრიდან, სხვა სკოლებიდან, თბილისის ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან. ღონისძიებას ესწრებოდა გოდერძი ჩოხელის მეუღლე **ნინო წიკლაური**. დაწყებითი კლასის პედაგოგმა **ნინო მიქიაშვილმა**, პროექტის ფარგლებში ჩაატარა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიება.







წელსაც გვყავს ასეთივე კონკურსში გამარჯვებული პროექტის ავტორი: **თამარ ვაშაძის** მიერ საკონკურსოდ გაგზავნილი პროექტი **„ჯანსაღი ცხოვრების წესი – ჯანმრთელობის ნობათია“** დაფინანსდა.

ქალაქ თბილისის მერიის კონკურსში კი გაიმარჯვა პროექტმა **„თბილისი ყველას სახლია“**, რომლის ხელმძღვანელია **მაია ფარულავა**.

შიდა სასკოლო პროექტს **„რუსთაველი და თანამედროვეობა“**, რომელიც მიეძღვნა გენიოსი მგოსნის 850 წლის იუბილეს საზოგადოებრივი მეცნირებების კათედრა ხელმძღვანელობდა (პროექტის ავტორი **ირმა სამხარაძე**), დიდი წარმატება ხვდა. პროექტში **„ჩვენ და ვეფხისტყაოსანი“** ერთი თვის მანძილზე ჩართულნი იყვნენ IX, X, XI კლასის ქართველი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეროვნების მოსწავლეები. ამ პროექტში აქტიურად იყო ჩართული პედაგოგი **თამარ ტალახაძე**. პედაგოგ **ქეთევან ქათამაძის** მიერ მომზადდა საიუბილეო ჟურნალის სპეციალური გამოშვება.

ნორჩ გამომგონებელთა საერთაშორისო კონკურსში **„ლეონარდო და ვინჩი“** აქტიურობდნენ **ესმა გუკასიანი** და **ირინე კენჭაძე**. შეირჩა **„ფარდობითი ტენიანობის შესანარჩუნებელი ხელსაწყო“** – ავტორები **გიორგი გვიჩიანი** და **თეიმურაზ არბოლიშვილი**, ხელმძღვანელი **ირმა კაკუშაძე**.

სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მესამე ტურში გადავიდა მე-12 კლასელი **ნიკიტა დანკო**, ამჟამად კი, მეორე ტურში მონაწილეობენ **ნინო ნატროშვილი** და **მარიამ რუხაია**.

გვყავს საამაყო სპორტსმენი – **დიმიტრი კუჩარენკო** – მსოფლიო ჩემპიონი კარატეში, **ერიკ კარაპეტიანი** და **სერგო ჯავახია** – ნორჩი ფეხბურთელები, წარმატებული წყალბურთელი **ნიზამ ალმაზოვი**, მოკრივე **ერიკ პეტროსიანი**, ნორჩი მოჭადრაკეები: **გოგა** და **ბაჩო ესებუები**, სპორტულ ცეკვებში არაერთგზის საპრიზო ადგილის მფლობელია – **ჯესიკა აკოფოვი**.

ნორჩი მხატვრები: **ანა ზარქუა, მარიამ გაბაშვილი, ანა ხუციშვილი, ნინი გამცემლიძე, ნინო ჯღარკავა, ლუკა ჯღარკავა, ლუკა არეშიძე, ლიზი ჯოლოხავა, ნიკა ნიკოლეიშ-**


გაგრძელება მე-2 გვ.



## ხელმომწერთა საყურადღებოდ!

**გაზეთი „სახალხოგანათლება+“**-ის გამოსაწერად საჭიროა, გადარიცხოთ წლიურად 20 ლარი (ნახევარი წლით – 10 ლარი) შემდეგ ანგარიშზე:

ს/ს „თიბისი ბანკი“ კოდი **TBCGBGE 22**

მიმღები: პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი: „სახალხო განათლება+“

ა/**a GE 94TB7249236080100007**

ს/კ 402010587

ელფოსტა: **saxgani@gmail.com**

გამოაგზავნეთ თქვენი მისამართი, სადაც უნდა მოგეწოდოთ გაზეთი.


## მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

ბაგა-ბაღი ,,სინათლე“ აფხაზეთიდან დევნილთა სიხარულია

# აქ თითქოს სოხუმის პალმები შრიალებენ



**ბაგა-ბაღი „სინათლე“** ვაშლიჯვრის დასახლებაში, მარშალ გელოვანის ქუჩაზე მდებარე მე-2 საჯარო სკოლის შენობის პირველ სართულს ამშვენებს.

ბაგა-ბაღში მხოლოდ ერთი შერეული სახის 47 ბავშვიანი ჯგუფია. დღეის დღეისობით ტერიტორია იდეალურად მოწესრიგებულია. საბავშვო ოთახი გარემონტებულია თანამედროვე სტანდარტებით. მორთულია იგი ნაირნაირი თვალსაჩინოებით, აღმზრდელისა და ცეროდენების მიერ გაკეთებულია ბავშვებისთვის საყვარელი ქართული ზღაპრების პერსონაჟების ნახატებით, მზრუნველი დიასახლისის ხელი აშკარად ატყვია სამზარეულოსა და სასაწყობე ფართსაც.

– ტრაგედიამ ვერ გაგვტეხა, – აცხადებს ჩვენთან საუბარში ბაგა-ბაღის დირექტორი **მზია ცაავა-კოლოჩევა**, რომელიც უკვე 20 წელია წარმატებით უძღვება ამ ბაგა-ბაღს.

ქალბატონი მზია სწავლობდა სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის პირველ საშუალო სკოლაში. წარმატებით დაამთავრა მ. გორკის სახელობის პედინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად აჩადარაში. მას, ისე როგორც აფხაზეთში მცხოვრებ ბევრ ქართველს, მრავალი განსაცდელი დაატყდათ თავს. მეუღლე **ამირან კოლოჩევი**, სოხუმის რაიონის მილიციის მაიორი, ერთ-ერთი პირველი შეეწირა ქართველთმოძულე გადამთიელთა წინააღმდეგ ბრძოლას. ის, სიკვდილის შემდეგ სამსახურებრივი მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის დაჯილდოებულია **ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით**.

გაუტეხელი ნებისყოფისა და მებრძოლი სულისკვეთების მქონე ქალბატონმა შეძლო და გოლგოთის გზის გავლით სამშვიდობოს გამოიყვანა შვილი **ეკატერინე კოლოჩევა** და ასაკოვანი მშობლები. შემდეგშიც იყოჩაღა: ქალიშვილი დააფრთიან-დააკვალიანა და ახლა ეკატერინე თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს ბელგიაში. აქ კი ქალბატონი მზია ვაჟკაცურად ჩაუდგა სათავეში ბაგა-ბაღ **„სინათლეს“**. მუხლჩაუხრელი შრომით ბაგა-ბაღი ცეროდენების ზღაპრულ სამყაროს დაამსგავსა.

მერიის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს უფროსის, ბატონ **თემურ თორდინავას** დახმარებით გაკეთდა შიდა რემონტი, შეიძინეს ყველა სახის თანამედროვე ტიპის ინვენტარი, თვალსაჩინოება, მოწესრიგდა სამზარეულო, კანალიზაცია, სველი წერტილები, შეიძინეს ახალი ჯამ-ჭურჭელი, გაზქურა შეიცვალა ახალი საზღვარგარეთიდან სპეციალურად შემოტანილი ძვირადღირებული ელექტროქურით, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა.

დირექტორი ყოველთვის ითვალისწინებს კოლექტივის აზრს. ერთად იღებენ გადაწყვეტილებებს, გეგმავენ ღონისძიებებს, ინაწილებენ პასუხისმგებლობას მშობლების წინაშე.





პროფესიულ დონეზე უძღვებიან საქმეს დირექტორის მოადგილე **ნინო მამეიშვილი** და საქმისმწარმოებელი **ნანული კვარაცხელია**.

აღმზრდელ-პედაგოგები გატაცებით მუშაობენ ცეროდენებთან. აყალიბებენ მათ უნარ-ჩვევებს. შერეულ ჯგუფთან მუშაობა უფრო რთულია. დირექტორი მაღალ შეფასებას აძლევს აღმზრდელის **თამარ კვარაცხელიასა** და მისი თანაშემწის **მიმოზა ქარჩავას** საქმისადმი შემოქმედებით მიდგომას.

თვალხატულა გოგო-ბიჭებს სიმღერის სიყვარულს აზიარებს პროფესიონალი მუსიკის მასწავლებელი **სოფიკო ბერაია**.

ჰიგიენის წესების სრული დაცვით უგემრიელეს კერძებს უმზადებს ცუგრუმელებს მზარეული **მაყვალა ნემსვერიძე**. მისი გაკეთებული კერძები პატარებს შინ დედის მიერ გაკეთებულს ურჩევნიათ.

ერთსულოვნება, საქმისადმი ერთგულება და პატარებზე მშობლიური ზრუნვა ის გარემოებებია, რომელიც განაპირობებს ამ მცირერიცხოვანი კოლექტივის წარმატებებს.

შარშან ბაგა-ბაღი „სინათლე“ **„გაზაფხულის ფესტივალი 2016“**-ში აქტიური მონაწილეობისათვის საბურთალოს გამგეობამ ქების სიგელით დააჯილდოვა. ასევე, სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოსგან მიღებული აქვს **„შესაბამისობის შეფასების“** სერთიფიკატი.

კიდევ მეტ გაბრწყინებას ვუსურვებთ ბაგა-ბაღ **„სინათლეს“**, ხოლო დირექტორს, მის დევნილ თანამშრომლებს ასე დავლოცავთ: **„ღმერთმა დაგლოცოთ! მიმდინარე წელი თქვენთვის აფხაზეთში მშობლიურ კერაზე დაბრუნების წელი გამხდარიყოს!“**

**ივერი მესხია**

1-ლი გვერდიდან

**ვილი**, **მარი ხუციშვილი**, **სესილი დოხნაძე** და სხვები ხშირად აწყობენ გამოფენებს.

უცხოური ენების საერთაშორისო ოლიმპიადა **„რობინზონში“** მე-8 კლასელმა **თამარ პაპაშვილმა** I ადგილი და ოქროს მედალი დაისაკუთრა.

**„ეკო-კლუბში“** აქტიურად მონაწილეობენ: **გვანცა მიქელაშვილი**, **ანა აბრამოვა**, **ეთერ კალანდაძე**.

სატელევიზიო პროექტში **„ეკოვიზია“** გაიმარჯვეს: **მარიამ რუხაიამ**, **ნინო ნატროშვილმა**, **გიორგი კვირიკაშვილმა**, **ნიკიტა დანკომ** და **მარიამ გაბაშვილმა**.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ **„ჩემი პირველი კომპიუტერით“** დაჯილდოვდა **ვერონიკა კარგინა**.

მოსწავლეთა ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში გამარჯვებისათვის დაჯილდოებულთა შორის არიან: **ენი ამოევი**, **ირაკლი გახარია**, **სიმონ სიმონიანი**, **ანა პერეპელიცინა** და **დიანა სარქისიანი,** რომლებიც იმყოფებოდნენ ინგლისურენოვან საზაფხულო ბანაკში. მე-11 კლასელი **ენი ამოევი** გაიგზავნა ინგლისში, ბაქსვუდის სკოლაში.

2015-2016 სასწავლო წლის ბოლოს სკოლას ჰყავდა 1 ოქროს მედალოსანი – **ნიკიტა დანკო**, რომელმაც უმაღლესშიც 100%-იანი დაფინანსება მოიპოვა.

ახალმა დირექტორმა სკოლაში მოსვლისთანავე დანერგა წარმატებულ **მოსწავლეთა წახალისება**, რაც იქცა ტრადიციად. სკოლის წარჩინებული მოსწავლეები ექსკურსიით იმყოფებოდნენ საგურამოში ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, ქალაქ-მუზეუმ მცხეთაში, გუდამაყრის ხეობაში, ბორჯომის ხეობაში და ვიზიტით მაკდონალდსში.

ასევე კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი – ღვაწლმოსილ პედაგოგთა საზეიმო გაცილება პენსიაზე და საპატიო დაფის გახსნა – **„ქედს ვიხრით თქვენი პედაგოგიური ღვაწლის წინაშე”**.

სკოლა აქტიურად არის ჩართული საქველმოქმედო საქმიანობაში;

ბერი ანდრიას სოლიდარობის ფონდისათვის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ჩატარდა **„მწვანე ყუთის აქცია“**, შეძენილი წიგნები გადაეცა სოლიდარობის ფონდს.Aამ ფონდის ბავშვებმა თავის ხელით დარგეს ნარგავები პედაგოგ **მანანა დვალიშვილის** დახმარებით.





პედაგოგ **ნატო ხაჭაპურიძისა** და მე-3 კლასის მოსწავლეთა მიერ სიმსივნით დაავადებული ბავშვებისთვის ჩატარდა ღონისძიება **„გაზაფხული იღიმება“**. მოწვეულ ბავშვებს გადაეცათ საჩუქრები. მათვე განახორციელეს პროექტი **„ერთად ვაკეთოთ სიკეთე“**, მოეწყო გამოფენა-გაყიდვა, საქველმოქმედო აქციაში ჩაერთო მთელი სკოლა, შეგროვდა 1280 ლარი, რომელიც გადაირიცხა **დიტო ცინცაძის** სახელობის ლეიკემიით დაავადებულთა ფონდში.

სანიმუშოა სკოლისა და ოჯახის ურთიერთთანამშრომლობა, მშობელთა აქტიური ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.

პედაგოგიურ კოლექტივს ახალი, პერსპექტიული წევრები შეემატნენ: **ნათია ჯოჯუას**, **ხათუნა ნოზაძის**, **ლელი ჯანხოთელისა** და **ლელა ჯავახიშვილის** სახით. ახალბედებს დაოსტატებაში ხელს უწყობენ დირექტორი **მანანა კიკაჩეიშვილი**, კოლეგა **ნატო ხაჭაპურიძე** და სხვები.

სკოლაში ფუნქციონირებს 9 საგნობრივი კათედრა: ქართული ენა-ლიტერატურისა – ხელმძღვანელი – **ფატმან მუსელიანი**, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა – **ირმა სამხარაძე**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა – **თამარ ვაშაძე**, ტექნიკურ მეცნირებათა – **ლელა ხუნაშვილი**, უცხოური ენების – **ნინო ელიზბარაშვილი**, ესთეტიკის – **სალომე ასანიძე**, დაწყებითი კლასების (ქართული სექტორი) – **ლელი ჯანხოთელი**, დაწყებითი კლასების (რუსული სექტორი) – **თამარ მედვედევი**, რუსული ენის – **ნელი პარუნაშვილი**. ეს კათედრები აქტიურად მუშაობენ სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის.

შარშან გამოიკვეთა განსაკუთრებით აქტიური კათედრები, რომლებიც წაახალისა სკოლის დირექციამ: საბუნებისმეტყველო კათედრა – ხელმძღვანელი – **ესმა გუკასიანი**, ქართული სექტორის დაწყებითების კათედრა – **ნატო ხაჭაპურიძე**, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა – **ქეთევან ქათამაძე**, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა – **ირმა სამხარაძე**.

წელს თვითმმართველობის თავმჯდომარედ არჩეულია მეათეკლასელი **თათია გიგანი**, რომელიც საინტერესო მუშაობას ეწევა.

სკოლის წარმატების უმძლავრესი საფუძველი და ფაქტორი მაინც ძლიერი პედაგოგები არიან და თუ მათ ისეთი შემოქმედი დირექტორი უძღვება, როგორიც **მანანა კიკაჩეიშვილი** გახლავთ, გამარჯვება გარანტირებულია.

ბევრი სკოლა იამაყებდა ასეთი პროფესიონალი პედაგოგებით, როგორებიც ამ სკოლაში მოღვაწეობენ. ისინი მუდამ მზად არიან მხარი აუბან ყოველგვარ სიახლეს, იმ ნოვაციებს, რასაც განათლებისა და მეცნიერების ახალი მინისტრი ბატონი **ალექსანდრე ჯეჯელავა** გვთავაზობს. სწორედ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემასთან დაკავშირებულ სიახლეებზე ისაუბრა ბატონმა **ალექსანდრე ჯეჯელავამ** სკოლაში სტუმრობის დროს.

როცა საქმის ასეთი სიყვარულია, გამარჯვებაც ახლოსაა.

**შობა-ახალ წელს გილოცავთ და ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ, 72-ე სკოლელებო**.

**ბორის მიშველაძე,**
პედაგოგიკის დოქტორი

თბილისის 83-ე საჯარო სკოლაში

# მაღალი ავტორიტეტის ჭეშმარიტი დასტური



**თბილისის** 83-ე საჯარო სკოლა, თავდაპირველად, მეორე მსოფლიო ომის დროს 31-ე საავიაციო ქარხნის რუსეთიდან ევაკუირებული მუშა-მოსამსახურეთა შვილებისთვის გაიხსნა.



მერე და მერე, აქ, ძირითადად, სამხედროების შვილები – 1700 ბავშვი სწავლობდა. 1992 წელს 700 რუსულენოვანი მოსწავლე დარჩა და ქართული სექტორიც გაიხსნა – I და V კლასები.

პირველი ქართული გამოშვება სკოლამ 1999 წელს აღნიშნა. თანდათან იმატა აქ სწავლის



მსურველთა რიცხვმა. ამჟამად (2011 წლიდან) სკოლა მთლიანად ქართულია.

ბევრი მოსწავლე გადმოვიდა 124-ე საშუალო სკოლიდან. რატომ? იქ 83-ე სკოლის დირექტორი **ნინელი ადამაშვილი** მუშაობდა სასწავლო ნაწილის გამგედ.

**შტრიხები პორტრეტისათვის**: 1972 წელს დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო მასწავლებლად. მალევე დააწინაურეს დირექტორის მოადგილედ კლასგარეშე მუშაობის დარგში. შემდეგ – 124-ე სკოლის დირექტორის მოადგილეა სასწავლო-აღმზრდელობით დარგში. 1979 წელს დაინიშნა 168-ე გახანგრძლივებული დღის სკოლის დირექტორად (ასეთი სკოლა ერთადერთი იყო მთელ მაშინდელ საქარხნო რაიონში). 1985 წელს უკვე 83-ე სკოლის დირექტორია. ნახანძრალი სკოლა დახვდა. მთელი კოლექტივისა და მოსწავლეთა უდიდესი მონდომებით სკოლა ისე სწრაფად აღდგა, რომ მაისში გამოცდები უკვე მის კედლებში ჩატარდა. **ნინელი ადამაშვილმა** ორჯერ წარმატებით ჩააბარა „სადირექტორო“ გამოცდები. სერთიფიცირებულია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იცოდნენ 124-ე სკოლის მოსწავლეთა მშობლებმა **სად**, **ვისთან** და **რატომ** მიჰყავდათ შვილები.

83-ე სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მაღალ დონეზეა. დირექტორის მოადგილეები: **ლიანა ჯანგულაშვილი** (I მოადგილე, ქართული) და **მარინე ანთიძე** (რუსული) ჩინებული სპეციალისტები და ორგანიზატორები არიან.



სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს მიზანმიმართულად, გეგმაზომიერად წარმართავენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: **ცისანა კაპანაძე**, **დარეჯან ნამგალაური**, **მარიამ ჩიბარაშვილი**, **ელისო ბერიძიშვილი**, **ქეთევან ნახუცრიშვილი**, **მარინე მაზანაშვილი**, **ნატალია ბარბაქაძე**, **თამარ ონიანი**; რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი **ნანა ვარდანიანი**; მათემატიკის მასწავლებლები: **მანანა ცუცქირიძე**, **ელზა კილაძე**, **დალი ბუზალაძე**, **ლალი ყვავილაშვილი**, **ხათუნა ქიმაძე**, **ეკატერინე ნადირაშვილი**; ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ბუნებისმცოდნეობის, გეოგრაფიის პედაგოგები: **მარიამ ბერიძე**, **ნანული მამისაშვილი-დერიუგინი**, **ნანა ზვერიაშვილი**, **მანანა კობალაძე**, **ხათუნა მსხვილიძე**, **ელზა ციხელაშვილი**, **ქეთევან ნაპირელი**; ისტორიის მასწავლებლები: **ლია ქიტიაშვილი**, **ლია მარანელი**, **ნინო დილებაშვილი**, **ნონა მჭედლიძე**, **მარინე ხოშტარია**, **ნათია ფხალაძე**; ინგლისური და გერმანული ენების პედაგოგები: **ნათელა მილორავა**, **ნინო კლდიაშვილი**, **ეველინა მილორავა**, **ნანი აკობია**, **მარინე ჩომახაშვილი**, **ნინო შინჯიკაშვილი**, **ნათია ლომაძე**, **თამილა ჭყოიძე**, **ლიანა დოლიძე**, **ლიკა მირცხულავა**, **ნინო ნოზაძე**, **ირინა შეყილაძე**, **თეონა ბრეგვაძე**, **ეთერ კაშმაძე**, **ნანა ბერულავა**; სულთან ერთად სხეულსაც უკაჟებენ აღსაზრდელებს სპორტის მასწავლებლები: **დარინა ქენქაძე**, **ცირა ღონღაძე**, **ვლადიმერ ხოჭოლავა**.

ინფორმატიკის შესწავლა დღეს ძალზე აქტუალურია და **მზია** და **ლიანა მოსაშვილები** თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად ასწავლიან ამ საგანს.

მუსიკის, ხელოვნების ჯადოსნურ სამყაროს აზიარებენ, გემოვნებასა და სულს უფაქიზებენ მოსწავლეებს მუსიკისა და ხელოვნების მასწავლებლები: **ნინო დარბინიანი**, **ეთერ აზარაშვილი**, **დიანა გრატიაშვილი**, **მარიამ წერეთელი**, **თამარ სეფაშვილი.**

დაწყებით კლასებში ეყრება საფუძველი ყმაწვილების სიბეჯითეს, დისციპლინას... ეს კარგად უწყიან და სათანადოდ იღვწიან დაწყებითი კლასების პედაგოგები: **ნანი გორელიშვილი**, **ნინელი სიბაშვილი**, **ია ტოკლიკიშვილი**, **დიანა თათეშვილი**, **მაია თვაური**, **მეგი კუთხაშვილი**, **მანანა პაპაშვილი**, **ევა კენჭაძე**, **მანანა ბასილაშვილი**, **ფატმან დვალაშვილი**, **ირინა ნადირაშვილი**, **ლალი ხიმშიაშვილი**, **ლელა ხარატიშვილი**, **შორენა ბეროშვილი**, **ლელა არჯევანიძე**, **ესმა ყველიაშვილი**, **თამარ ჩიხლაძე**.



სკოლაში მთავარი მაინც მოსწავლეთა თვითშეგნების ჩამოყალიბება, ინიციატივიანობის განვითარება, ვალდებულებებზე პასუხისმგებლობის აღება, საქმის ორგანიზება და გონივრულად წარმართვა-დასრულებაა. ამის საუკეთესო საშუალებად კი მოსწავლეთა თვითმმართველობა მიაჩნიათ. პედაგოგები ცდილობენ მხოლოდ სწორი გეზი მისცენ თვითმმართველობის წევრებს, ერთად იმსჯელონ და საერთო შეთანხმებით გადაჭრან სკოლის ესა თუ ის აქტუალური საკითხი. მაქსიმალური თავისუფლება მისცენ მათ ქმედებებს. ამიტომაც იზრდებიან ლიდერებად თვითმმართველობის წევრები: **ლელა ნაპირელი** (თავჯდომარე), **თამარ კენჭიაშვილი**, **შალვა სიხარულიძე**, **ანასტასია თათარაშვილი**, **ეთერ ახმეტელი**, **ანი ხმიადაშვილი**, **დიანა სტეფანიანი**.



სწორედ მათი აქტიური მონაწილეობით დაარსდა სკოლაში მრავალი სპორტული სექცია და კლუბი. მათივე ინიციატივით გროვდება წიგნები, რვეულები, ტანსაცმელი, საჩუქრები მიუსაფარ ბავშვთა სახლებისა და გლდანის ბავშვთა კრიზისული ცენტრისათვის; იმართება კონცერტები, მყარდება მეგობრობა. სკოლის მოსწავლეები მრავალი ფესტივალისა და შემოქმედებითი კონკურსის გამარჯვებულები არიან.





გერმანიის საელჩოსთან თანამშრომლობით, სკოლაში ZfA პროგრამით გაღრმავებულად ისწავლება გერმანული ენა. საამისოდ, კონკურსის საფუძველზე შეირჩა 7 მასწავლებელი.

სკოლის ავტორიტეტს ამაღლებს ის, რომ აქ ასწავლიან ისტორიისა და ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები: **ლია ქიტიაშვილი** და **მანანა კობალაძე; ელისო ლობჟანიძე** დოქტორანტია, **ირინე ნადირაშვილი** მასწავლებელთა სახლის ტრენერია, ხოლო **ნინო კლდიაშვილი** სამი ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ლექსიკონისა და ორი სასაუბროს ავტორია, მაგრამ სკოლის ავტორიტეტის ჭეშმარიტი დასტური მაინც სხვაა: დირექტორს შვიდი ქალბატონი ეწვია. რამდენიმეს 3-4 წლის ბავშვი ახლდა. სთხოვდნენ, ეგებ, მომავალი სასწავლო წლიდან მაინც მოხერხდეს ჩვენი შვილების თქვენს სკოლაში გადმოყვანაო. წასვლისას ბავშვებზე მივანიშნე და ვკითხე, ამათაც აქ მოიყვანთ-მეთქი? აუცილებლადო, იყო ერთობლივი პასუხი.

**მაშ, მართლაც სცოდნიათ 124-ე სკოლის მოსწავლეთა მშობლებს, სად, ვისთან და რატომ გადაჰყავდათ შვილები.**

**კონსტანტინე გურგენიძე**

არამ ხაჩატურიანის სახელობის ხელოვნების მე-10 სკოლა — 85

# წურწუმიას ქუჩაზე „კონსერვატორიის ფილიალი“



**ურთულესი,** უსათუთესია ჭეშმარიტი მუსიკის სამყარო. საოცრად გვიფაქიზებს სულს და ღვთაებრიობას გვაზიარებს.

**არამ ხაჩატურიანის** სახელობის ხელოვნების მე-10 სკოლის დირექტორი, აგერ უკვე 40 წელიწადია, გატაცებით რომ უძღვება მუსიკალური განათლების ამ სახელოვან კერას, კულტურის დამსახურებული მოღვაწე **ტარიელ ბერაძე** მიიჩნევს, რომ მუსიკის გარეშე ადამიანი სრულყოფილ პიროვნებად ძნელად ჩამოყალიბდება. ასევე ფიქრობენ ამ სკოლის პედაგოგები და თავდადებული მოღვაწეობით მაღალ შედეგებს აღწევენ.

აი, მათი შემოქმედებითი შრომის საამაყო ნაყოფი: **მერაბ სეფაშვილი** (XI კლ.) სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის – ქიმია-ბიოლოგიის, **მარიამ ჯიბლაშვილი** (XI კლ.) კავკასიის უნივერსიტეტის – სოციოლოგიურ მეცნიერებათა, **ანა ხაჩატურიანი** (X კლ.) სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტებზე დიდი წარმატებით სწავლობენ და პედაგოგებს ასახელებენ. მუსიკა სამუდამოდ დარჩება მათთან, მათი ცხოვრების თანამგზავრი იქნება.

არამ ხაჩატურიანის სახელობის ხელოვნების მე-10 სკოლა წლეულს დაარსებიდან 85 წლის იუბილეს აღნიშნავს. სკოლის კურსდამთავრებულები: **ს. შავგულიძე**, **ნ. წვერელი**, **თ. ჩიტაძე**, **ე. ასათიანი**, **მ. გველესიანი**, **ვ.** და **გ. მურადოვები**, **ლ. კალამკაროვა**, **ს. რინენბერგი**, **ნ. ბიჭიაშვილი**, **ბ. შპეტაშვილი**, **ნ. შერმადინი**, **ს. გელოვანი**, **ნ. წიკლაური**, **ა. სირაძე** აშშ-ში, გერმანიაში, საფრანგეთში, ავსტრიასა და არგენტინაში მოღვაწეობენ. ეს უკვე არათუ სკოლის, სრულიად საქართველოს სახელია.

შარშან კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამართულ სიმფონიური მუსიკის კონცერტზე სიმფონიურ ორკესტრში (დირიჟორი – **რევაზ ტაკიძე**) ჟღერდა სკოლის მოსწავლეების: **მერაბ სეფაშვილის**, **მინადორა ნარსიას**, **ნინო რევაზიშვილის**, **ნიკა დავითაშვილის** (პედაგოგი – **დარეჯან ესიტაშვილი**); **მარიამ კეკელიძის**, **სოფიო ქოქაშვილის (ანა ტაბატაძე)**; **ანა ზაალიშვილის (ნონა ტვილდიანი)**; **რუსუდან ლიპარტელიანის**, **ლილითი მანუსაჯევას (ლუდმილა ჩეკმენევა)**; **მედეა ცქიტიშვილის**, **ნატალია მამუკაშვილის (ნუნუ ჭელიძე)**, **მარიამ ნიკოლეიშვილის**, **ანა კორახაშვილის (თამარ ჯიბლაშვილი)**; **ანა ხაჩატრიანის**, **ანა გიორგაიას (ვალენტინა შულიუტა)**; **გაბრიელ ღამბაშიძის (სოფიო სუხიშვილი)**; **ლიდია ბებუთიანის (სვეტლანა ოსიპოვა)**; **თემისტოკლე ტონტიკოვის (რუსუდან მირზაშვილი)**; **ნინო კუხიანიძის (მარინა სიმონიანი)** საკრავები.



ამ მოსწავლეებსა და კიდევ **ელენე თანიაშვილს** (პედაგოგი – **დარეჯან ესიტაშვილი**), **ლია კახიაშვილს (ნელი ზარიძე)**, **ანა მელქონიანს**, **თათია ოქრუაშვილს (სვეტლანა ოსიპოვი)**, **ალექსანდრე ხუნძაკიშვილს (ნუნუ ტვილდიანი)**, **ნიკა ჟორდანიას (რუსუდან მირზაშვილი)**, **გარი გავაზიანს**, **ელენე კეკელიძეს (კარმენ ბალდასარიანი)**, **ელენე გადრანს (ივეტა მერაბიანი)**, **ეკატერინე ბორისენკოვას**, **ლია ბაქრაძეს (გალინა ბანდურა)** და **თორნიკე ჭიჭინაძეს (მედეა ნადირაძე)** მერია აფინანსებს.

პედაგოგთა შემოქმედებითი გარჯის ნაყოფია შარშან **რომში** გამართულ **შოპენის საერთაშორისო კონკურსში**, სადაც 12 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, X კლასელი **მედეა ცქიტიშვილის** მოპოვებული III ადგილი. მომღერალთა გუნდი ყოველწლიურად მონაწილეობს რესპუბლიკურ ოლიმპიადებში (ქორმაისტერი – **დარეჯან ჩიხლაძე**). შარშანწინ, ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების III ეროვნულ კონკურსში ლაურეატის წოდება და II ადგილი მოიპოვა. შარშან – მესამე.



საიხლეც დაინერგა: საშემსრულებლო (**ფორტეპიანო**, **ვიოლინო**, **ფლეიტა**, **გიტარა**, **ქსილიფონი**), ქართულ-ხალხური საკრავების (**ფანდური**, **სალამური**), საორკესტრო და სახვითი ხელოვნების (**ხატვა**, **ქანდაკება**) განყოფილებებს, **ვოკალისა** დაემატა.

საშემსრულებლოში მაპროფილებელი თეორიული განყოფილებაა. მას **ლალი ჭყონია** ხელმძღვანელობს; საორკესტროს – **ვალენტინა შულიუტა**, სახვით ხელოვნებას – **გვანცა კვანტრიშვილი**, ხელოვნების ისტორიას აცნობს მოსწავლეებს **სოფიო გოგოხია**; ძერწვასა და ხაზვას აუფლებს **გურამ იანვარაშვილი**; თეორიულ დისციპლინებს ასწავლიან: **მანანა ბაქრაძე**, **ლალი ჭყონია**, **ცისანა დიხამინჯია**, **ლალი გულუა**, **ნანა ედიშერაშვილი**, **თემურ სოლოღაშვილი**, **ე. სამუკაშვილი**; ხალხური საკრავების განყოფილებას **ნანა ედიშერაშვილი** უდგას სათავეში.

საფორტეპიანო განყოფილებაში ენთუზიაზმით შრომობენ მეთოდისტები: **ნანა ტვილდიანი**, **ივეტა მერაბიანი**, **ნატალია პურგინა**, **ერსელია ჭაბაშვილი**, **დარეჯან ესიტაშვილი**, **კარმენ ბალდასაროვა**, **სვეტლანა ოსიპოვა**.

საორკესტრო განყოფილებაში, სავიოლინო კლასს შემოქმედებითად უძღვებიან ღირსების ორდენის კავალერი **გალინა ბანდურა**, **ანატოლი დანელია**, **ვალენტინა შულიუტა**.

ფლეიტაზე დაკვრას ასწავლის **სტელა ელიკეზერაშვილი**; ქსილიფონზე – **მედეა ნადირაძე**.

აქვე ვიტყვი: ჩემმა უფროსმა შვილმა მარიამმა ამ სკოლის ცხრაწლედი დაამთავრა. უმცროსი – ეკატერინე – მერვეშია. მადლობა მათ პედაგოგებს – **ირინე ძიძიგურსა** და **ნონა ფერაძეს**.



პედაგოგებთან უშუალოდ მუშაობენ სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეები, კონსერვატორიის მუსიკათმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი **მანანა ბაქრაძე** და კონსერვატორიის კურსდამთავრებული ფორტეპიანოს კლასით **ანა ტაბატაძე**.

დირექტორს გული წყდება, რომ უსახსრობისა და პოლიტიკური ვითარების გამო, შეწყდა შემოქმედებითი ურთიერთობები **ერევნის**, **მოსკოვისა** თუ **სანკტ-პეტერბურგის** სათანადო პროფილის სკოლებთან.

სკოლა ინტერნაციონალურია. აქ მეგობრულ გარემოში იზრდებიან: ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი, უკრაინელი, ბერძენი, ქურთი მოსწავლეები.

სკოლას უსინათლო მოსწავლეებიც ჰყავს. მათ **თემურ სოლოღაშვილი** ასწავლის და წარმატებითაც – დიპლომით დაჯილდოვდა მისი მოსწავლე **ანა სიხაშვილი**.

სკოლა გარემონტდა. ახლა ინტერიერიცა და ექსტერიერიც თვალს ახარებს. უკეთესი პირობები, თავისთავად, სასწავლო პროცესის უფრო ხარისხიანად წარმართვას ნიშნავს. ინფრასტრუქტურაში დისონანსი შეაქვს დანგრევის პირას მისულ არაესთეტიკურ გალავანს. იმედია, სათანადო ინსტანციები დროულად მოაგვარებენ პრობლემას და გალავანიც სკოლას გარკვეულ ხიბლს შემატებს.

არამ ხაჩატურიანის ხელოვნების მე-10 სკოლის ამჟამინდელ წარმატებებს 85 წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი. სკოლის მუშაკთა ყოველ თაობას შეჰქონდა საკუთარი წვლილი სასწავლებლის წინსვლაში. ტყუილად არ უწოდებდნენ მას **„კონსერვატორიის ფილიალს“**. ეს წოდება სკოლამ ღირსეულად დაიმსახურა.

**გვჯერა, სკოლა კვლავაც გაამართლებს ამ „მეტსახელს“. აქ აღზრდილები კიდევ ბევრზე ბევრ ადამიანს მიანიჭებენ დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას, სულს გაუფაქიზებენ, უფრო შორს გაუთქვამენ სახელს იუბილარ სკოლას.**



**კოტე გურგენიძე**

„ქორალი“ — წარმატებების გზაზე

# ევროპული სტანდარტების მხარდამხარ

**ჩვენი** გაზეთის დღევანდელი ნომრის გამოცემა საგანმანათლებლო სტრუქტურის დაწესებულებების სასწავლო წლის შუაგულს ემთხვევა. სარედაქციო კოლეგიამ გადავწყვიტეთ მკითხველისათვის



მიგვეწოდებინა სათანადო ინფორმაცია სხვადასხვა სასწავლო და აღმზრდელობითი სტრუქტურის საქმიანობის თაობაზე ამ პერიოდისათვის.

ამჯერად ყურადღება შევაჩერეთ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის დიღმის მასივის საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე ფუნქციონირებად კერძო სკოლა შპს **„ქორალის“** საქმიანობაზე.

სკოლა **„ქორალი“** თავის ისტორიას 2002 წლიდან ითვლის. მან ფუნქციონირება ამ დროიდან დაიწყო 35 მოსწავლით, (ამჟამად კი სკოლაში 474 მოსწავლე სწავლობს).

სკოლა, მისი კოლექტივი, მოსწავლეთა შემადგენლობა, სულ უფრო და უფრო ხვეწავენ და აძლიერებენ ძალისხმევას ცოდნის ხარისხის ამაღლებისაკენ, აღმზრდელობითი საქმიანობის გაუმჯობესებისაკენ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისაკენ.

ამჟამად სკოლას უნარიანად ხელმძღვანელობენ მისი გენერალური დირექტორი **ნიკო ჯანიბეგაშვილი**, აღმასრულებელი დირექტორი **ნინო კაკულია**, დირექტორის მოადგილე **ირმა ჯიშიაშვილი**, განათლების ხარისხის მართვის მენეჯერი **მედეა უზნაძე**.

სკოლა **„ქორალი“** არის კერძო სკოლების ასოციაციის წევრი. იგი აქტიურად მონაწილეობს ასოციაციის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში. შპს „ქორალის“ საქმიანობა უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებისკენ.

სკოლა „ქორალში“ ასწავლიან მაღალკვალიფიციური პროფესიონალი პედაგოგები. მათ შორის არიან მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები, დოქტორანტები, მაგისტრები. უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგები არიან: **ნანა მენაღარიშვილი, ნათია ფურცელაძე, ნინო ბერძენიშვილი, ეთერ დალაქიშვილი, ნინო მაცხონაშვილი, თეა ნოდია, ირმა ჯიშიაშვილი, თამარ რატიანიძე, დალი ყარალაშვილი, ირინე ხატიაშვილი, ნანა სახეჩიძე**.

სკოლის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წარმატებულ კურსდამთავრებულთა შორის გამორჩეულები სადღეისოდ დასაქმებულები უნარიანად იყენებენ სკოლაში მიღებულ ცოდნასა და აღმზრდელობითი კუთხით მიღებულ უნარ-ჩვევებს.

ასეთთა შორის აღნიშვნის ღირსნი არიან: **არჩილ ჯანიბეგაშვილი, სალომე** და **სოფიო მეზურნიშვილები, ბექა ღაჟონია, მარიამ გოგუა, ნიკა ჯოხაძე, მარიამ ჩიჩუა, ნანუკა წითელაშვილი, ანა ფოცხვერაშვილი, ანა ჯანიბეგაშვილი, ანა კაპანაძე, ნიკოლოზ კოსტავა**.

სკოლის მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი მონაწილეობს სხვადასხვა ოლიმპიადასა და კონკურსში. სკოლას ჰყავს ფინალისტები, I, II, III ხარისხის დიპლომანტები: **თამარ სიჭინავა, ლუკა ტურაბელიძე, ლუკა დადუნაშვილი, ალექსანდრე მჭედლიშვილი, ქეთევან კვარაცხელია, სანდრო დიხამინჯია, ნინო ბიწაძე, ნანუკა ოქრიაშვილი, მაია მექვაბიშვილი, ლიზი მაღლაკელიძე, თორნიკე კუხალაშვილი, გიორგი ჩხეიძე, ანანო ბუბუტეიშვილი, ზურაბ ბადუაშვილი, ნარგიზ ყორღანაშვილი, თეკლა ჯიქია, გიორგი ცქიტიშვილი, ნინო კაპანაძე, მათე შარაშენიძე, ლუკა**

გაგრძელება მე-6 გვ.



საქმე და სიტყვა, რომელიც გვეჩოთირება

# როგორ ვერ მომატყუა დირექტორმა

**შაშკინის** შეუქცევადი შიში დღესაც ბუდობს ზოგიერთი სკოლის დირექტორის თავში. შიში ბევრი რამის გამო იყო. ერთ-ერთი მათგანია ჟურნალისტებთან, თუნდაც მასწავლებელთა გაზეთის თანამშრომლებთან ურთიერთობის გამო, დირექტორებს ჟურნალისტებისგან თავის არიდების მეთოდიკა ისე აქვთ დახვეწილი, თითქოს ამ მიზნით, ტრენინგები გაიარესო.

სამინისტროსგან სკოლებისთვის დარიგებული ინსტრუქციის ერთ-ერთი მუხლის დაზუსტების მიზნით დირექტორს „დავუკავშირდი“, მაგრამ დავუკავშირდი კი? საქმის მწარმოებელმა გამომძიებელივით გამომკითხა: „ვინა ხარ, სიდან მოსულხარ, ან კი მიდიხარ სადაო?“ – ჟურნალისტი ვარ, განათლების სისტემის მუშაკი, – გავიგებ, არის თუ არა დირექტორი. პაუზა და პასუხი: სამინისტროშია წასული.

კიდევ ხუთ სკოლას დავუკავშირდი. პასუხები: „რესურსცენტრშია“, „შეხვედრაზეა“, „ტრენინგზეა“, ე. ი. სკოლაში არასოდეს არ არის. ეჭვი შემეპარა და დავრწმუნდი, მატყუებდნენ. მეექვსე სკოლიდანაც იგივე პასუხი. – გთხოვთ მობილურის ნომერი ჩამაწერინოთ. – აკრძალული გვაქვს.

გამახსენდა, რომ ამ სკოლაში მეგობარი მუშაობდა. – თუ ძმა ხარ, ერთი გამიგე, თქვენი დირექტორი სად არის? – აგერაა, თავის კაბინეტში ზის. ისევ ვურეკავ საქმეთა მწარმოებელს: არა გრცხვენიათ? ცხვირწინ გიზის დირექტორი და მე თქვენს კოლეგას ასე უტიფრად რომ მატყუებთ? მკითხველო, აი, ბიუროკრატიზმის კლასიკური მაგალითი.

### მედასავლეთე ქართველების აფორიზმები

**რუსთაველის ხმაზე**: „ამერიკული დოლარი მირჩევნია სულსა, გულსა“. „სჯობს დოლარისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“. „ხამს დოლარი ევრო ჩემთვის, ამერიკა – გზად და ხიდად“.

**ბარათაშვილის ხმაზე**: „ჯანი გავარდეს აწ ენას, მამულს, ოღონდ ვაამო ჩემს საკუთარ გულს!“ „რის ქართველობა, რა ქართველობა, ვითომ რას მავნებს ინგლისელობა?“

**ერისთავის ხმაზე**: „მე მირჩევნია მამულსა ინგლისი დოლარიანი“.

### „ო, ენავ, ჩემო!“

„შედეგებზე ორიენტირებული“. უშედეგობაზე, გაკოტრებაზე ორიენტირებული საქმე სადმე გინახავთ? უნდა იყოს: „მაღალ შედეგებზე ორიენტირებული“.

„განვითარების სამინისტრო“, „განვითარების სამმართველო“. სიტყვა **„განვითარების“** ზედმეტია. ყველა დაწესებულება ამა თუ იმ დარგის განვითარებისთვის, წარმატების მიღწევისთვისაა შექმნილი და არა დაკნინებისთვის. უნდა იყოს ტრადიციულად: „განათლების სამინისტრო“, „ეკონომიკის სამინისტრო“ და არა „ეკონომიკის მდგრადი განვითარების სამინისტრო“.

სოფელ კოდის შესასვლელში, ტრიალ მინდორზე დგას ბოძი, რომელსაც აწერია: **„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი“**. ადრე ეწერა **„რაიონი“**, რომელიც ნამდვილად სწორია. **რაიონი** ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს გეოგრაფიულ სივრცეს, იმ ტერიტორიას, რომელიც თეთრიწყაროს გამგებლობაში მას ეკუთვნის. **„მუნიციპალიტეტი“** გერმანული სიტყვაა და ნიშნავს თვითმმართველობას, რომელიც უნდა ეწეროს ქალაქის იმ შენობას, რომელშიც ეს ორგანიზაცია არის განთავსებული. ახლა კი, ასე გამოდის, ეს ბოძი ყოფილა თვითმმართველობა. ყველა საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოდი, დავუძახოთ: **„მოსწავლეთა მუნიციპალიტეტი“**, **„სტუდენტთა მუნიციპალიტეტი“**. როგორი იქნება ჰა?

**მოსე მწერალი**

საღამო

# საქველმოქმედო

**ახლახან**, ასოციაცია ,,**Georgia for Frends** “-ის ეგიდით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ნიჭიერი ხელოვანის,



პოეტისა და მხატვრის **მარინე ქაციბაიას** შემოქმედებითი საღამო და ნამუშევრების გამოფენა. ღონისძიება საქველმოქმედო იყო და მასში მონაწილეობდნენ პოეტები, მწერლები, მუსიკოსები და სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლები.

**მარინე ქაციბაიას** შემოქმედებას კარგად იცნობს საზოგადოება, საინტერესოა მისი მხატვრული და გრაფიკული ნამუშევრები. არანაკლებ შთამბეჭდავია ქალბატონ მარინეს ლექსები, რომელიც ძირითადად, ასახავს მის სულიერ მდგომარეობასა და სამშობლოს სიყვარულს.

ღონისძიებაზე, ხელოვანმა ახალი კრებულის პრეზენტაცია გამართა, საიდანაც შემოსული თანხა მთლიანად, ცერებრალური დამბლის მქონე ბავშვებს მოხმარდება.

**მზია გოგოძე**

**მე-5 გვერდიდან**

**„ქორალი“ — წარმატებების გზაზე**

# ევროპული სტანდარტების მხარდამხარ

**დემეტრაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ნიკა ჩხეტიანი, ანანო კაპანაძე, ზუკა ბუაჩიძე, ლიზი ღურწკაია, ანასტასია ჯაფოშვილი, ოთო ასპანაშვილი** და მრავალი სხვა.

XII კლასის მოსწავლეები **მიხეილ ჩირიკაშვილი** და **მარიამ არ-**



**სენიძე** გახდნენ „ROBINSN“-ის მიერ ჩატარებული ოლიმპიადის გამარჯვებულები. ისინი დაჯილდოვდნენ ბექსვუდის საზაფხულო სკოლის საგზურით.

სკოლა **„ქორალი“** ამაყობს ასეთი მოტივირებული მოსწავ-



ლეებით.

საქართველოს მასშტაბით თითქმის არაერთი ათეული სასწავლო ოლიმპიადა ტარდება ყოველწლიურად **„KINGS“**, **„ევერესტი“**, **„ SMART Competition“**, **„კენგურუ“** და სხვები. გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია მიმართავს საქართველოს განათლების სამინისტროს, გამოძებნოს დრო და შეისწავლოს, რომელი კონკურსი თუ ოლიმპიადა უფროა ორიენტირებული მოსწავლეთა ცოდნის ხარისხზე და რომელი არა.

სკოლა „ქორალი“-ის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი დიდ ყურადღებას აქცევს აღმზრდელობით საქმიანობას. აქ ფუნქციონირებენ ლიტერატურის, მათემატიკის, სამოქალაქო განათლების კლუბები. მოსწავლეთა უშუალო ჩართულობითა და ორგანიზებით ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, სადამრიგებლო საათები. აქ განიხილება უამრავი საკითხები პატრიოტული, ზნეობრივი, ესთეტიკური აღზრდის კუთხით. არაერთი საინტერესო აღმზრდელობითი ღონისძიება აქვთ ჩატარებული პედაგოგებს **ნათია ფურცელაძეს, ანა კინწურაშვილის, ნათია ცხადაძეს, ლეილა მებალიშვილს.**

2013 წლიდან ჩატარებული აღმზრდელობითი ღონისძიებებიდან ჩამოვთვლით რამდენიმეს: სკოლაში დაარსდა ლიტერატურული კლუბი **„წიგნიერი“**. კლუბის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებებიდან აღნიშვნის ღირსია **„ხელნაწერი წიგნების გაცოცხლება“** (პრეზენტაცია), ინტელექტუალური კონკურსი მითოლოგიის თემებზე. საბავშვო ლიტერატურის დღეს ჩატარდა **„სკოლის საყვარელი საბავშვო წიგნი“** (გაშუქდა ტელეკომპანია „იმედის“ მიერ); ჩატარდა შეხვედრა პოეტ **რატი ამაღლობელთან** წიგნის ფესტივალზე მწერალ **დათო ტურაშვილთან** წიგნის სახლში.

2014 წელს IVბ და IVგ კლასებში ორგანიზებულ იქნა ლიტერატურული თამაში **„ლიტერატურაში დაკარგულები“**; შარშან მარტში დედებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე წარმოადგინეს ხელნაკეთი კალენდარი; მოეწყო ლიტერატურული თამაში **„ლიტერატურა და შოკოლადები“**.

2016 წლის 14 მარტს სკოლა **„ქორალის”** მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა **„ევერესტის”** ინიციაივით ჩატარებულ მათემატიკის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში **„პი”**.

სკოლა აქტიურადაა ჩართული სამოქალაქო განათლების პროექტში **„მომავლის თაობა“**.

2017 წლის 30 იანვარს სკოლა „ქორალის“ მე-6 კასის მოსწავლეებმა (**მართა არჩვაძე, ნარგიზ ყორღანაშვილი, ლიზი კაკაურიძე, ლილე პარასკევაშვილი, თორნიკე კუხალაშვილი, ნიკოლოზ მოძმანაშვილი**) მიიღეს მონაწილეობა ინტელექტუალურ კონკურსში **„ყველაზე წიგნიერი გუნდი”**, რომელიც ჩატარდა **„ბაკურ სულაკაურის“** გამომცემლობის ორგანიზებით (პედაგოგი **ნათია ფურცელაძე**).

2016 წელს ჩვენი სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები **მარიამ იმედაშვილი** და **ნეუა ლობჟანიძე** გახდნენ მოსწავლეთა რესპუბლიკური სასწავლო – შემეცნებითი კონფერენციის პირველი ხარისხის დიპლომის მფლობელები. (პედაგოგი **ლეილა მებალიშვილი**).

მნიშვნელოვანი იყო 2016 წლის აპრილში IIIბ და IIIგ კლასის მოსწავლეთა (პედაგოგი **სოფო მესხი, ნინო ტალახაძე**) საქველმოქმედო აქცია ბავშვთა სახლში თბილისის ზღვაზე ივერთუბანში. მოსწავლეებმა გამოხატეს თანადგომა მიუსაფარი ბავშვების მიმართ. შეაგროვეს ტანსაცმელი, სათამაშოები, სურსათი, მედიკამენტები, სტუმრობით კმაყოფილნი დარჩნენ მასპინძლები. მათ სიმღერებით გამოხატეს მადლიერება. ასევე, „ქორალი“-ს ბავშვები დაასაჩუქრეს მათი ხელნაკეთი სამაჯურებით. 13 დეკემბერს კი იგივე მოსწავლეები მათ პედაგოგებთან ერთად იყვნენ იოანე ნათლისმცემლის დედათა მონასტერში ქოშიგორას მთაზე. ისინი გაეცნენ იოანე ნათლისმცემლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. დედა ანა ბავშვებს ესაუბრა ტაძრის დაარსებისა და წმინდანების ცხოვრებაზე.

სკოლა **„ქორალში“** ასევე დიდი ყურადღება ექცევა სასწავლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. წელს ექსპლუატაციაში შევიდა ახალი, ოთხსართულიანი კორპუსი, რომელიც განკუთვნილია დაწყებითი კლასების მოსწავლეე-





ბისათვის. სკოლა სადღეისოდ აღჭურვილია სწავლისათვის ყველა საჭირო ინვენტარით. ფუნქციონირებს სააქტო და სპორტდარბაზი, ასევე, ფუნქციონირებს ღია სპორტული დარბაზი.

ბევრი რამ სასიკეთო ტარდება სკოლაში ბუნებისმეტყველების სფეროში სათანადო ცოდნის დამკვიდრებისათვის. 2016 წლის მარტში სკოლაში ჩატარდა ბუნებისმტეყველების კვირეული თემაზე **„ჩვენი სამყარო“**. ვიქტორინის სტილში მიმდინარეობდა ღონისძიება მე-4, მე-5, მე-6, მე-7 კლასებში.

18 მარტს ჩატარდა კვირეულის დახურვა. ჟიურის წევრებმა დააჯილდოვეს გამარჯვებული გუნდები I, II და III ხარისხის დიპლომებით.

კვირეულის მიზანი იყო მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება და ცოდნის ხარისხის გაუმჯობესება.

ზემოთ ხსენებული ღონისძიების სულისჩამდგმელი გახლდათ სკოლის პედაგოგი **ნათია ცხადაძე**.

**გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის რედაქცია ულოცავს ახალი 2017 წლის შემობრძანებას, ასევე, სკოლის დაარსებიდან – 15 წლისთავს. „ქორალის“ პედაგოგიურ და მოსწავლეთა კოლექტივებს. სკოლის ხელმძღვანელობას, შემდგომ წარმატებებს უსურვებს ცოდნითა და აღზრდით შეიარაღებული საზოგადოების ფორმირებაში ქვეყნის სასიკეთოდ.**

**რომან მოსეშვილი**

**მცირე რეპლიკა**

## „რაიონი“ – თუ „მუნიციპალიტეტი?“

**მარნეულისკენ** მიმავალ გზაზე კუმისის ტბასთან აღმართს რომ მოილევთ, სოფელ კოდის დასაწყისში, ტრიალ მინდორზე ბანერს დიდი ასოებით აწერია **„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი“**. სულ ორიოდე წელია ასე იკითხება, მანამდე ყოველთვის **„რაიონი“** ეწერა. ისე გავგიჟდ-გადავირიეთ უცხოურ ტერმინებზე, საშველი არ არის. რა ენა და მამულზე ველაპარაკოთ იმ ქართველს, რომელიც მამა-პაპურ წვრთნა-ვარჯიშზე „ტრენინგს“ და წარდგენაზე „პრეზენტაციას“ წარამარა გაიძახის, ოღონდ უცხოელებს ასიამოვნოს. ალბათ, იმის შიშითაც, ვაითუ, ნატოში არ მიგვიღონო. იმ კაცსაც, ვინც **„მუნიციპალიტეტი“** დააკანონა, ეგონა, სიახლეს მივაგენიო და სიხარულით თავბრუდახვეულმა პითაგორასავით წამოიძახა „ევრიკა!“ არადა, ცალი თვალით მაინც ლექსიკონში რომ ჩაეხედა, დაინახავდა: **„რაიონიც“** უცხოური ტერმინია.

რადგან იმ კაცს დაეზარა ცალი თვალითაც კი ლექსიკონში ჩახედვა, მკითხველო, მოდი, ჩვენ მაინც ჩავიხედოთ. ჩავიხედეთ და აი, რა წავიკითხეთ: **„რაიონი“** ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს გეოგრაფიულ სივრცეს, ტერიტორიას, რომელიც თეთრიწყაროს გამგებლობაში შედის. **„მუნიციპალიტეტი“** გერმანული სიტყვაა და ნიშნავს თვითმმართველობას. სად ერეკლე და სად თეკლეო. ეს ტერმინი უნდა ეწეროს მხოლოდ იმ შენობას, რომელშიც რაიონის გამგეობა-თვითმმართველობა არის განთავსებული და არა ტრიალ მინდორზე აღმართულ ბოძს.

ყველა საჯარო სკოლაში ჩამოყალიბებულია მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოდით, მას დავუძახოთ **„მოსწავლეთა მუნიციპალიტეტი“**, სტუდენტთა თვითმმართველობას – **„სტუდენტთა მუნიციპალიტეტი“**, როგორი იქნება, ჰა!

**მოსე მწერალი**

სახალხო განათლება +



თბილისის მე-60 სახელოვან ბაგა-ბაღში

# ხალისი და სიყვარული დამკვიდრებულა



**დედაქალაქის** მე-60 საბავშვო ბაგა-ბაღში სტუმრობისას მოგხიბლავთ აქაური თბილი გარემო, პატარებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება და აღმზდელების თავდაუზოგავი შრომა. ბაღს ამშვენებს გამწვანებული და ატრაქციონებიანი ეზო, რომელიც მოპირკეთებულია და გარშემორტყმულია კაპიტალური ღობით. ასევე, დამონტაჟებულია პანდუსი. აქვე აღსანიშნავია თბილისის მერის **დავით ნარმანიას** საჩუქარი – 100 ძირი წიწვოვანი ხე, რომელიც ბავშვებთან ერთად დარგეს და უხარიათ, რომ ყველა ნარგავმა გაიხარა.

შენობა მოწესრიგებულია და აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით. ოთახები და დერეფნები ესთეტურად არის მორთულ-მოკაზმული. სასწავლო – აღმზრდელობითი პროცესი კი, შესანიშნავად მიმდინარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ აქაური მესვეურები შემოქმედებითი კუთხით უძღვებიან საქმეს და ცდილობენ პატარებს კრეატიული უნარ-ჩვევები განუვითარონ.



ბაღის ხელმძღვანელი გახლავთ ენერგიული და დიდი გამოცდილების მქონე, პიროვნება **მარინე სამსონიძე**. ქალბატონი მარინე წლების წინ ნაძალადევის რაიონის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი იყო, ასევე მუშაობდა საორგანიზაციო განყოფილების გამგედ და გამგეობის პასუხისმგებელ მდივნად, თბილისის მერიის განათლების სამსახურში – აპარატის უფროსად. იგი, 2007 წელს, კონკურსის წესით დაინიშნა ბაღის დირექტორად და წარმატებით ხელმძღვანელობს აღნიშნულ საბავშვო დაწესებულებას, ცდილობს პატარებისთვის მაქსიმალური კომფორტი შექმნას. მისი მოსვლის დღიდან ბევრი რამ გაკეთდა. ბაგა-ბაღების სააგენტოს დახმარებით, გარემონტდა შენობის გარე ფასადი, ბაღი მთლიანად მოწესრიგდა, შეიცვალა ინტერიერი და აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით. ერთი სიტყვით, პატარებს სრული კომფორტი შეუქმნეს და მშობლებიც გაახარეს.

ბაღში გაიზარდა აღსაზრდელების რაოდენობა და დაემატა ჯგუფები, ახლა სულ 13 ჯგუფია. არიან ინკლუზიური ბავშვებიც და მათთან სპეცპედაგოგი **შორენა გოცირიძე** მუშაობს.

ბაღი აქტიურადაა ჩართული **„სასკოლო მზაობის პროგრამაში“** და წელს დაემატათ ახალი საგანი: **გარემოს დაცვა** და **უსაფრთხოება.** აღნიშნული პროგრამა ოთხ ჯგუფში მიმდინარეობს. აქ ხშირად იმართება სეზონური ზეიმები, სასწავლო ხასიათის გასართობი ღონისძიებები და ღია გაკვეთილები.

აღსანიშნავია, რომ მე-60 საბავშვო ბაგა-ბაღში ყველა წარმატება მიღწეულია თანამშრომლებსა და ხელმძღვანელებს შორის გუნდური ურთიერთობით და თავდადებული შრომით.

თავიანთ მოვალეობას შესანიშნავად ასრულებენ: დირექტორის მოადგილე **თინათინ ფიცხელაური**, მეთოდისტი **ნინო ბიაშვილი**, საქმის მწარმოებელი **დალი ნიაური**, ფსიქოლოგი **ირინე ცხოიძე**, მნე **მზია ჭანკოტაძე**, ლოგოპედი **მზია სტვილია** და ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **ქეთევან კახობერაშვილი**.

დირექცია მაღალ შეფასებას აძლევს აღმზრდელების საქმიანობას. ესენია: **ქეთევან პაპოშვილი, ციალა მახარობლიშვილი, ციცინო სხირტლაძე, თინა დავითიძე, ლიანა ჩიქოვანი, მზია ორჯონიკიძე, ციალა ჩალიგავა, დიანა შარიქაძე, ნონო ბოკუჩავა, ჯულიეტა სოხაძე, გიული ბარნაბიშვილი, ფატიმა ოდიშარია, ნათია ხუნაშვილი, ირმა გოგიბერიძე** და **ხათუნა კერვალიშვილი.**



პატარებზე განსაკუთრებით ზრუნავენ აღმზრდელის თანაშემწეები: **ლუდა ფარსადანაშვილი, ლაურა ლიჩელი, ნინო კუსიანი, სოფო ჯოლია, ანასტასია ლევერაშვილი, მაკა ხაჩიური, მაია მახაჭაშვილი, ნინო ჯიბლაძე, ლენა ხუდოევა, მანილი ღვინიაძე, თამარ ორჯონიკიძე, ზაირა გედევანიშვილი, ნატო გამჯაშვილი, ლელა კანდელაკი, მთვარისა ობოლაძე, ციცინო მილაძე, მაია ჟორჟოლიანი, ნათია კვირიკაშვილი, ლალი ამირხანაშვილი, ქეთევან სამხარაძე, ნინო სვანიძე, თამარ მანჯგალაძე, ნონა სვიანაძე** და **ნაზიბროლა ობგაიძე.**

მხატვრულ-შემოქმედებით პროცესს შესანიშნავად უძღვებიან მუსიკის პედაგოგები: **ლედი ლორია** და **ქეთევან ზუბიაშვილი.** პატარებს ცეკვის გაკვეთილებს უტარებს და ქართულ ხელოვნებას აყვარებს **მანანა მამალაძე.**

ცუგრუმელების კვებას დიდი ყურადღება ექცევა. მათ გემრიელ კერძებს უმზადებენ გამოცდილი მზარეული **მანანა ქაჩლიშვილი** და მისი დამხმარეები: **ვიქტორია მკრტიჩიანი** და **დარეჯან ივანაშვილი**. ხაზგასასმელია, ტექნიკური პერსონალის თავდაუზოგავი შრომა. ესენია: **ციალა პეტროსიანი, ქეთევან გეგეჭკორი, თამარ ყუბანეიშვილი, მზია აბუაშვილი, ნანი ქალიაშვილი, ეთერ ბოლქვაძე, ნუნუ ბალამწარაშვილი, ინგა გურგენიშვილი, ლანა გუბელაძე, ზაზა მიქელაძე, გიორგი მაცაბერიძე, ანზორ ხვედელიძე და ვლადიმერ ჯირკვალიძე.**



საგულისხმოა, რომ ცუგრუმელებისთვის ლამაზი და თბილი გარემოს შესაქმნელად, თავდაუზოგავად ილვწის ბაღის დირექტორი და მთელი კოლექტივი. ამიტომაც, დღითიდღე მატულობს მადლიერ მშობელთა რიცხვი.

**მზია გოგოძე**



იცანი თავი შენი!“

# ხზოს ალტაცება

**ხშირად** გაიგონებთ: თავმოყვარეობა არა აქვსო. თავმოყვარეობის დეფიციტი კი მლიქვნელობაში გადაიზრდება. მლიქვნელობა კი ღირსების შემლახველია.

ბოჩოლა რძით რომ გაიჭყიპება, მინდორში კუნტრუშს დაიწყებს, უაზროდ გაგიჟდება, ხან აქეთ მიაწყდება და ხან იქით მიეხეთქება, ტლინკაობს.

ამას ეძახიან **„ხზოს ალტაცებას!“**

არ ვიცი ეს თვისება ჩვენს ხასიათში ზის თუ არა, მაგრამ ცხადია, ამის მსგავსი, სამწუხაროდ, ხშირად გვემართება: მუდამ სხვას ვაკრიტიკებთ და საკუთარ ქცევას არ ვუკვირდებით.

**„ხზოს ალტაცების“** ორი მაგალითი გავიხსენოთ, ძვირფასო მკითხველო – ერთი – იმ საუკუნიდან, მეორე – ამ საუკუნიდან.

მაშინ რუსი მწერალი ასტაფიევი გვესტუმრა. გადაყვნენ მას ჩვენი მწერლები, აქეს, ადიდეს, „დევების აუღებელი სუფრა“ გაუშალეს, ჩიტის რძე არ მოაკლეს, სამოთხის ნირვანაში აბანავეს და იქ თევზიციმორი დააჭერინეს. ჰოდა, რომ დაბრუნდა ასტაფიევი მოსკოვში, პასკვილი **„ციმორის ჭერა“** გამოაცხო: ქართველები უსაქმურები ხართო, ღვინის ყლაპვის მეტი Aარაფერი იცითო, ორსული ქალივით უშველებელი ღიპი გადგათო.

ამ საუკუნეში კი თურქმა მწერალმა **ფამუქიმ** ნობელის პრემია მიიღო. სტუმართმოყვარეობის მოტივით (უფრო, ღრმად თუ ჩავწვდებით განაზრახს, სხვა მოტივითაც) გადაირივნენ ახალგაზრდა ქართველი მწერლები, ჩამოიყვანეს, **„პრეზენტაცია“** მოუწყვეს, **„სუფრადანციაც“** ზედ მიაყოლეს.

ერთმა მწერალმა ჰკითხა უძვირფასეს სტუმარს, რუსთაველის **„ვეფხისტყაოსანზე“** რას გვეტყვითო? – არც კი მაქვს წაკითხულიო(!?)

ახლახან ევროვიზალიბერალიზაციაზეც რომ არ მოგეძალათ ბევრს **„ხზოს ალტაცება?“**

**თავმოყვარეობა – ღირსებისა და არა მონური ქედმოხრის გრძნობა კარგი საქონელია, ღმერთმანი!**

**მოსე მწერალი**

## თბილისის მე-4 საჯარო სკოლის ლიტერატურულ სალონში

# გაკვეთილზე არანაკლებ დიდებული ღონისძიება



**მათემატიკის** ენაზე თუ ვიტყვით, საგნობრივი კათედრების მოქნილი საქმიანობა პირდაპირპროპორციულია სწავლების ხარისხის ამაღლებისა. სასწავლო-შემოქმედებით ღონისძიებებში ჩართულობა და აქტივობა მეტად ანვითარებს მოსწავლის შემეცნებით უნარ-ჩვევებს, ნიჭს, საპროგრამო სტანდარტების იქითაც კი გადაახედებს.

ამ მიმართულებით დედაქალაქის სახელოვან მე-4 საჯარო სკოლაში მუდამ ჩქეფდა საინტერესო ცხოვრება. წინამორბედი დირექტორები: **რუსუდან ჯავახიშვილი**, **ეკა ხიდაშელი**, **ნინო ზურაბიშვილი**, **ხათუნა ქოთოლაშვილი** დიდ ყურადღებას აქცევდნენ მოსწავლეთა ამგვარ აქტივობებს. ეწყობოდა **ემოციური კონკურსები**, **სასწავლო კონფერენციები**, **„მათემატიკური ხუთჭიდი“**, **საოლიმპიადო ტურები**, **ლიტერატურული საღამოები**, **ანბანის ზეიმები** და სხვა.

საბედნიეროდ, ეს ტრადიცია დღესაც უფრო წარმატებულად გრძელდება. საახალწლოდ ახალგაზრდა შემოქმედ დირექტორს **ელისო ლოლაშვილ-მერაბიშვილს** შევთავაზე სკოლის მიღწევა-წარმატებებზე სტატიის გამოქვეყნება.

– სკოლაში უამრავი ღონისძიება ტარდება და ერთი რომელიმე კონკრეტული თემა გააშუქეთო, – მირჩია ქალბატონმა.

ხოლო მეტად საინტერესო, ემოციური პროექტი ასეთი ღონისძიებების მოწყობის დიდოსტატმა, ჩინებულმა პედაგოგმა, გამოცდილმა დირექტორის მოადგილემ **ხათუნა ქოთოლაშვილმა** შემირჩია: ქართულის ბრწყინვალე მასწავლებელი, ენა-ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელი **ხატია შველიძე** შთამბეჭდავ ლიტერატურულ ღონისძიებას ატარებს და ის წარმოაჩინეთო. ობიექტური მიზეზების გამო იმ ღონისძიებას ვერ დავესწარით და ხატიას ვთხოვეთ თავად წერილობით მოეთხრო მის შესახებ.

გთავაზობთ **ხატია შველიძის** წერილის მოკლე შინაარსს.

***

**სახელმწიფო** ენის კათედრის მიერ მომზადებული სასკოლო ღონისძიების თემა იყო **„იისფრად ღვივიან ნოემბრის დღეები“**. იგი მიეძღვნა ნოემბრის თვეში დაბადებული ქართველი მწერლებისა და პოეტების ხსოვნას: როგორც იტყვიან, **სულხან-საბა ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძე, გალაკტიონ ტაბიძე, მურმან ლებანიძე, ბესიკ ხარანაული** „გავაცოცხლეთ“ ამ ლიტერატურულ საღამოზე.




სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოწაფეები სხვადასხვა ფორმით წარდგნენ. პროექტში კათედრის ყველა წევრი ჩაერთო: **მანანა ბარბაქაძის** მე-11 კლასელებმა **ალექსანდრე ჭავჭავაძის** ხსოვნის პატივსაცემად წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია **ოლღა რომანჩენკოს „წინანდლის მფლობელი“**. გამოიყენეს წინანდლის სახლმუზეუმის, მთაწმინდის, პოეტის პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოები. მონაწილეობდნენ **ანი ყოჩიაშვილი**, **ელენე ხუციშვილი**, **ეთერ ყაულაშვილი**, **თეკლა ალანია**, **სოფო ბაქრაძე**, **სალომე გუგეშაშვილი**, **ომარ ანიაშვილი**, **მერაბ თაფლაძე**.

**ნაირა ჯიქიამ** მე-9 კლასელები წარადგინა **გალაკტიონ ტაბიძის** პირადი წერილებით. მხატვრულად წაიკითხეს იგი გიორგი **ხეჩიკაშვილმა**, **ქრისტინე რობაქიძემ** და **ანასტასია ყიფშიძემ**.

**ლელა ღვანიას** მოსწავლეებმა: **მარიამ ტეტელაშვილმა**, **მარიამ ქენქაძემ**, **ლუკა მახარაშვილმა**, **მერაბ გენგიურმა**.



**თინათინ ელბაქიძის** მოსწავლეებმა: **კესო მეტრეველმა**, **სალომე სურმავამ**, **ელისაბედ შერაზადიშვილმა** ქართულად და ინგლისურად წაკითხული **„ქარი ქრის“** მოგვასმენინეს. ამასთანავე, **ილია ჭავჭავაძის** პოემიდან ამონარიდი წაიკითხეს.

**ხატია შველიძის** აღსაზრდელებმა: **მარიამ სალხინაშვილმა** და **ხატია ბელქანიამ** გალაკტიონის დაბადებისა და გარდაცვალების ამსახველი სცენები მხატვრულად გამოსახეს. **სულხან-საბა ორბელიანის** იგავ-არაკებზე შექმნილი კომპიუტერული ანიმაციები წარადგინეს პატარებმა: **გიორგი ლომთათიძემ**, **ცოტნე ლორთქიფანიძემ**, **ლუკა შველიძემ**, **გიორგი კალანდიამ**.

მეექვსეკლასელებმა: **თათია ტყეშელაშვილმა** და **ლიზი ელჩიბეგაშვილმა** შემოგვთავაზეს ვიქტორინა, **სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონიდან“**.

მეათეკლასელმა **გიორგი მოდებაძემ** ყველა ზემოხსენებულ მწერალზე ფოტო-ვიდეოკოლაჟი წარმოადგინა.

**ნინო შეროზიას** მეცხრეკლასელებმა: **თინათინ აბუთიძემ**, **ანა ბესკროვნიმ**, **მარიამ კვირიკაშვილმა**, **ანა მელაშვილმა**, **ანა მელაძემ** მხატვრული კომპოზიცია განასახიერეს **ბესიკ ხარანაულის** შემოქმედებიდან **„ივრის ქალები, თებერვალი“**, ხარანაულთან ინტერვიუს ამონარიდები **ნაირა გელაშვილის** წერილიდან, მისი ლექსები. წარმოადგინეს ვიდეოკოლაჟი.

**თეა დვალიძის** მეშვიდეკლასელებმა: **დიტო მაისურაძემ**, **ნინო ბირკაიამ** და **ნიკოლოზ ხუბუკელაშვილმა** განასახიერეს სულხან-საბას იგავ-არაკების პერსონაჟები.

ღონისძიება გაფორმებული იყო სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა მიერ შესრულებული პორტრეტებით: **ქეთა ივანელაშვილის** (მე-6 კლასი) **გალაკტიონი**, **ლუკა ახობაძის** (მე-9) **ილია ჭავჭავაძე**, **სულხან-საბა ორბელიანი**, **ბესიკ ხარანაული**, **ეკა გრიშკოს** (მე-9) **ალექსანდრე ჭავჭავაძე**, **ბერიკა კვიჟინაძის** (მე-9), **სალომე სანიკიძის** (მე-8) **მურმან ლებანიძე**.

**„ბაზალეთის ტბის“** ლიტერატურულ კომიქსებზე იმუშავეს მეექვსეკლასელებმა: **ნინო ფურცხვანიძემ**, **თათია ტყეშელაშვილმა**, **ლიზი ელჩიბეგაშვილმა**, **გიორგი კალანდიამ**.

**ანა ალხაზიშვილის** მერვეკლასელებმა: **სოფო მიქაძემ**, **ანი ცოტნიაშვილმა**, **სალომე სანიკიძემ**, **თამარ ხმალაძემ** შთამბეჭდავად წარმოაჩინეს **მურმან ლებანიძის** ბიოგრაფიული მომენტები, წაიკითხეს პოეტის ლექსები და შეასრულეს მის ლექსებზე დაწერილი სიმღერა.

**ეს ლიტერატურული ღონისძიება სწავლებაში მაღალ შედეგებზე იყო ორიენტირებული.**

**ხატია შველიძე**

რედაქტორის P.S. **იმრავლოს ასეთმა ღონისძიებებმა ყველა საგანში!**

„კენგურუს“ მიმართვა

## საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების დირექტორებს!

**გაცნობებთ,** რომ მიმდინრე წლის 18 მარტს, ქ. თბილისში, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ჩატარდება მსოფლიოში ყველაზე პოპულარული, სახალისო და საინტერესო მათემატიკური კონკურსი **„კენგურუ“**.

**„კენგურუს“** სახალხო უნიკალურ ამოცანებს სხვა კონკურსები ვერ უწევენ კონკურენციას, მისი ამოცანები 60-ზე მეტი ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერთა ერთობლივი ნამუშევარია.

კონკურსი **„კენგურუ“** გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი, როგორც მოსწავლეთა ყველაზე მასობრივი შეჯიბრება. მასში 75-ზე მეტი ქვეყანაა ჩართული და 6-მილიონზე მეტი მოსწავლე მონაწილეობს,. კონკურსში გამარჯვებულები ევროპის (**საფრანგეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის** ზაფხულის საერთაშორისო ბანაკების საგზურებით ჯილდოვდებიან).

კონკურსში მოსწავლეთა აქტიურად ჩართვისთვის კი განხორციელდება სკოლების კოორდინატორის მორალური და სხვა წამახალისებელი ღონისძიებები.

**„კენგურუს“** მთავარი ორგანიზატორია ასოციაცია **„ბალავარი“**, ასევე ორგანიზატორია **„საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოება“**.

ძვირფასო სკოლების ხელმძღვანელებო, გამოიჩინეთ კეთილი ნება და თქვენს მოსწავლეებს დროულად მიაწოდეთ ინფორმაცია ასოციაცია „ბალავარის“ ვებ-გვერდის მითითებით: www.balavarigeorgia.ge. ტელ.: 574106233.

კონკურსის მონაწილეთა რეგისტრაცია განხორციელდება მკაცრად განსაზღვრულ დროში, 23 იანვრიდან 15 მარტის ჩათვლით. კონკურსში მონაწილეობენ მოსწავლეები მე-2-დან მე-12 კლასის ჩათვლით. სარეგისტრაციო გადასახადია 18 ლარი.

რეგისტრაცია მოიცავს 1) სარეგისტრაციო საფასურის შეტანას **„ბალავარის“** ანგარიშზე და 2) ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირებას.

**„ბალავარის“** საბანკო რეკვიზიტებია, ბანკი: სს. საქართველოს ბანკი, მიმღები: ასოციაცია „ბალავარი“.

**საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების დირექტორებო და მოსწავლეებო, გისურვებთ კონკურსში აქტიურ ჩაბმას და წარმატებებს.**

**ასოციაცია „ბალავარი“,**
**საქართველოს მათემატიკოსთა საზოგადოება**

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+ № 3 (4542)
8 თებერვალი, 2017 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113

9 771987 911009